საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 49

04 04 2016 წელი

ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N59ბ საცხოვრებელი კორპუსის ამხანაგობა ,,მზე"-ს განცხადების განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 აპრილის სხდომის N7 ოქმის მე-7 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 თებერვლის N03/1116 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 26 თებერვლის N530-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. დამტკიცდეს რუსთაველის ქუჩა N59ბ-ს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,მზე"-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები შ.პ.ს. ,,დაგის" მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 2216 კვ.მ განაშენიანების ფართი შენობა 01/5 – 854 კვ.მ; 02/1 – 15 კვ.მ; 03/1 – 15 კვ.მ; 04/1-15 კვ.მ; 05/1 – 15 კვ.მ. 06/1 – 15 კვ.მ. 07/1 – 15 კვ.მ. 08/1 – 15 კვ.მ.).

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,მზე"-ს თავმჯდომარემ ისქანდარ აშიროვმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს კორპუსზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზების) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე